თითოეული ნომერი ჟურნალისა ყველგან 10 კ.




№ 21.—1914 ფასი 10 კ. კვირა, 27 ივლისი.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1 ივლისიდან ამ წლის ბოლომდე გაგზავნით ჰღირს 3 მ. ფულის წარმოდგენა შეიძლება ნაწილნაწილადაც. მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Іосифу Имедашвили.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, მომავალი კვირიდან ჟურნალი აღარ გაეგზავნება.



სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე არჩეული სპეცია-ლური კომისია, იოსებ გედევანიშვილის თავმჯდომარეობით.

თეატრი და ცხოვრება

№ 21

## შინაარსი:


1) საერთო ნაკლი, მეთაური 1
2) თავ. ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი, ტიტე ტაბიძისა 2
3) ჩემი ბახალა, —ელისა 3
4) ძახილი სულისა, დ. მესხისა 4
5) იქ, ი. ჯიხაიშელისა „
6) კაცთმოყვარეობის მქადაგებელი ჟორესი, იოსებ ჯრამათიელისა 5
7) რემბრანდტი, დ. კილოსანიძისა „
8) მანჯაფა, ი. მ—სა 6
9) ომიანობა, —ლისა „
10) ომი, ს. და-ნისა— 7
11) შუქურ ვარსკვლავი, მთის ნიავისა 9
12) საყვედური, ცვარ-ნამისა— 11
13) დედინაცვალი, (გაგრძ.) ტრ. რამიშვილისა 12
14) ქართველ მწერალთა წერილები, სოფრომ მგალობლიშვილისა— 14
15) წვრილი ამბები— 16



**თბილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს,** რომ მას განზრახული აქვს თეატრთან მოაწყოს სპეციალისტების ხელმძღვანელობით

**სამეცადინო პრაქტიკული სტუდია**

ამიტომ იგი იწვევს ქალთა და ვაჟთა, რომელთაც ქართულ სცენაზე მუშაობის სურვილი აქვსთ, ჩაეწერნენ ამ თავითვე გამგეობის კონტორაში. ჩაწერის ვადა დანიშნულია განცხადების დღიდან პირველ სექტემბრამდე. **სწავლა უფასო იქნება.** პირობების გაგება შეიძლება კონტორაში დღისით 1—3 საათამდე.

წერილობითი განცხადება მისამართის ჩვენებით წარმოდგენილ უნდა იქმნეს დრ. საზ. კანტორაში,

# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა *ივანე მაჩაბლის* თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ **შექსპირის** რვა ტრაგედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი შემოსატანი**—1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს**—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება **თბილისში:** ქართვ. შორის წერა-კითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

**გამომცემელი კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**

# თეატრი და ცხოვრება

№ 21

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ. დრ. საზ. კანტორაში და „სორაპან"-ს სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ, Грузинскій Театръ, ред. „Театри да Цховреба" Іос. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-95, სტამბისა — 15-41.

№ 21 კვირა 27 ივლისი 1914 წ.

## 27 ივლისი

**საერთო ნაკლი.** ჩვენი მწერლობა არასოდეს ისე მრავალ-რიცხოვანი და იმავე დროს ისე წყალწყალა არა ყოფილა, როგორც დღეს. მთელი ჩვენი დროის ქართული გამოცემანი მხოლოდ პირად კინკლაობის, სიცრუის, ბოროტ განზრახვათა გათარეშების და, უმეტეს შემთხვევაში, პარტიულ წვრიმალ ანგარიშების გამასწორებელ საშუალებად არის გადაქცეული.

ალბად ამით აიხსნება, რომ ვერ იქნა და ჩვენში ვარკვეული, მთლიანი აზროვნება, ერთი საზოგადოებრივ-ზნეობრივი ძალა, ყველასთვის ერთნაირად სავალდებულო დებულება ვერ შემუშავდა: ყველა ცალ-ცალკე თითქო რაღაც ღირებულებას წარმოადგენენ, ერთად-კი არაფერს: ერთი ჰაერში მიჰფრენს, მეორე წყალში მისცურავს, მესამე უკან მიღოღავს და ჩვენის ქვეყნის საერთო ტვირთიკი ისევ ერთ ადგილს სძევს დაუძვრელად.

ჩვენში ჯერ კიდევ ვერ შეუგვნიათ, რომ შეიძლება ვიყვეთ სხვა და სხვა რწმენა-მიმართულებისა, მაგრამ ჩვენის ქვეყნის საერთო კეთილდღეობის, ჩვენის სამშობლოს მკვიდრთა ბედიღბლის საქმის გარკვევაში-კი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ვიდოდეთ. თავი მოგვაქვს სხვა და სხვა თეორიებით, მაღალ იდეებით, ხშირად სოციალისტობითაც, საჭიროების დროს გამოჩენილი მოციქულ-სოციალისტნიც დაგვიმოწმებია, მაგრამ მათი სულის კვეთება-კი ვერ შეგვიგვნია. თუ გერმანიის მუშათა ბელადი, და იმავე დროს მთელის ქვეყნის პროლეტარიატის სიამაყე, ავგუსტ ბებელი აცხადებდა: როცა ჩვენს სამშობლოს გარეშე მტერი დაეცემა, მის მოსაგერებლად ყველანი ფეხზე დავსდგებით და ერთად გავალთ მის წინააღმდეგო, თუ საფრანგეთის დიდებული შვილი და გამოჩენილი სოციალისტი მუდამ ძმობა-ერთობის მქადაგებელი, ჟორესი, ამ დღეებში რომ ვერაგულად მოჰკლეს, იძახდა—თუ ჩემს სამშობლოს მტერი დაეცა, პირველი მე მიუშვერ მტრის ტყვიას მკერდსაო, ჩვენებური მოსოციალისტე ბელადნი გაჰკივიან—თუ ჩვენი პარტიული თვალსაზრისი არ გვიკარნახებს, ქვეყნის დაღუპვა რას მიქვიანო, და გაჯიუტებულნი მიიწევენ თავ-თავის გზით.

ეს გარემოება აიხსნება უმთავრესად იმითი, რომ ჩვენში საზოგადოებრივი აღზრდა-განვითარება, მეცნიერებისა და ლიტერატურის მაღალ მისწრაფებათა ცოდნა ძლიერ დაცემულია. ის დარგი მწერლობისა, რომელიც ადამიანს—ადამიანს გააცნობს, ადამიანის სულსა და გულში ჩაახედებს, მთელს ცხოვრებას მიუკერძველად, ობიექტიურად უჩვენებს და იმავე დროს უკეთესს ცხოვრების საჭიროებას შთააგონებს, და არა ჩასჩიჩინებს, უყურადღებოდ არის მიტოვებული. ასეთი ცოდნის შეძენა უკბილო საპოლემიკო წერილებით, უწმაწური პასქვილებითა და დღეგალეულ უშინაარსო გამოცემებით არ შეიძლება.

თვალი გადაავლეთ, თუ ჩვენს მწერლობაში შეგხვდეთ დინჯი, მიუდგომელი კრიტიკა, მაღალზნიანი პუბლიცისტიკა, ცხოვრების ყოველმხრივი გამაშუქებელი ბელეტრისტიკა...

და ეს არც შეიძლება, რადგან ყოველდღიური არსებული გამოცემანი, ვიმეორებ, მხოლოდ პირად საკინკლაოდ არის გადაქცეუ-

ლი, ხოლო თუ, იშვიათად, სამხატვრო სახელოვნო ნაწარმოებს მოათავსებენ, ისიც ერთხელვე შემუშავებულ ყალიბზე ჩამოსხმულს.

თუ ბელეტრისტიკა, კრიტიკა და პუბლიცისტიკა არ არის, ვერც დრამატურგია გაშლის ფრთას, რადგან ეს უკანასკნელი, სხვათა შორის, პირველიდან იღებს წყაროს შემოქმედებისას...

ამიტომ ფრიად საჭიროა ჩვენმა ლიტერატურულ ძალებმა ამ გარემოებას ანგარიში გაუწიონ და შექმნან ერთი ლიტერატურული თვიური ჟურნალი, თავისუფალი ორგანო სამხატვრო-სახელოვნო ნაწარმოებთა მოსათავსებლად, და მით ხელი შეუწყონ ჩვენს საზოგადოებრივ აღზრდა-განვითარებას. რაც უნდა სხვადასხვა რწმენა-მიმართულებისანი ვიყვნეთ, რაც უნდა დიდი განსაცდელი მოგველოდეს, ჩვენის ქვეყნის საერთო მოთხოვნილება მაინც უნდა გვაერთებდეს: ნუ ვიქნებით დაქსაქსულნი და ჩვენი სამშობლოს მზე უკეთ გაიკაშკაშებს!..

# თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი

(დასასრული.—იხ. „თ. და Ც.“ № 19-20)

საკმაო არ არის, რომ მარტო მიზანი იყოს კარგი და პატიოსანი. რა რიგ მაღალია ამოცანები რელიგიის, სასამართლოისა, მედიცინისა, მაგრამ როდესაც რელიგია იქცევა ინკვიზიციონურ სინედრიონად, ან იეზუიტურ ორდენად, როგორც იყო მთელი საუკუნოები, როცა სასამართლოები იქცევიან ქრთამის, მოსყიდვის და ძალადობის ადგილად და ექიმები შარლატნებად და რეგვენებად, მაშინ რელიგიას, სასამართლოს და მედიცინას ეძლევა კულტურულ მნიშვნელობის მაგიერ დამღუპავი. თეატრისთვის ათჯერ უფრო საჭიროა, იყოს პატიოსანი და კილომიუტანელი, რომ ასცილდეს საშიშროებას. თეატრი უნდა დაცული იქმნას ავანტიურისტებისგან, ძალად მოყვარულებისგან და ცხოვრებაში დამარცხებულთაგან... მათი შემოსევა თეატრს დაღუპავს. ამისათვის საჭიროა, თვითონ მსახიობებმა მიიღონ მონაწილეობა თეტრის ცხოვრებაში. ისინი არ უნდა კმაყოფილდებოდნენ მარტო როლების ასრულებით. ისე არავის არ ეწვის გული თეატრზე, როგორც მსახიობს, მან უნდა მოითხოვოს თეატრის ცხოვრებაში ჩარევის უფლება, — ეს მისი სადვთო უფლებაც კია.. მსახიობი არ უნდა გადაიქცეს მანქანად რეჟისორის ხელში, მან თვითონ უნდა შექმნას ის ტიპი, რომელსაც თამაშობს, უნდა მისცე ინდივიდუალური ელფერი, რომ არ ჰგავდეს სხვისგან შექმნილ სახეს, თორემ ისე რა არის მსახიობი რეჟისორის ხელში?

ამისათვის საჭიროა ზედმიწევნით შესწავლა ცხოვრების.

მოლიერი ჰქმნის ტარტიუფს. ეს ტიპია, მსახიობი, რომელიც თამაშობს—ტარტიუფს, პირველ შეხედვით თითქო უსაქმოდ რჩება თუ ნიჭიერია და იცის საქმის ტეხნიკა. ის გაიკეთებს გრიმს, მისცემს თავის ტარტიუფს ცბიერის და გაიძვერას ყველა თვისებას, შეუთანხმებს მშვენივრად სიტყვებს მიმიკას ადგილ-ადგილ და მართალი იქნება მოლიერთან. მაგრამ ის თუ არ აძლევს თავის ტარტიუფს წმინდა პიროვნულს, ყველა ტარტიუფს კი არა მარტო მაგ ტარტიუფს შეთანხმებულ ნაკვთებს, მაშინ როლს ეკარგება ხასიათი და როლთან იღუპება პიესა. ტიპებს იძლევა ავტორი. აქტიორის ამოცანაა ტიპი აქციოს ცოცხალ სახედ, ასე ვსთქვათ დაბადოს ადამიანი სხვანაირი და განუყოფელი (ინდივიდუალური). თუ ის ასე არ იქცევა, მაშინ ის არ არის მხატვარი—არის არა აქტიორი—არამედ „შემსრულებელი“.

ასე, ყველა მსახიობმა უნდა განავითაროს თავის ტალანტი საკუთარ სახეთა შექმნის ხარისხამდე, თორემ ისე ვერაფერი ნერვი, ვერაფერი ტემპერამენტი ვერ იხსნის რეჟისორის მეუფებისგან. მე მიტომ ვაქცევ აქტიორს დიდ ყურადღებას, რომ იმაში ვხედავ წყაროს აღმაფრენისას და შემოქმედებისას. მე ვხედავ ბუნებრივ შესაძლებლობას, რომ აქტიორი ჩაუდგეს თავის საქმეს სათავეში და მართოს ის განუყოფლად და სრულად. ვლაპარაკობ „სრულად და განუყოფლად“, მიტომ რომ ჩემი ღრმა რწმენით რეჟისორად შეუძლია ყოფნა მხოლოდ აქტიორს. ევროპის სცენაზე ეს დიდი ხანია შეიგნო. აქ პიესებს სდგამენ აქტიორები და ასეა

# მომღერალნი



**დ. აკოფაშვილი და მ. ღვინიაშვილი**
(ომიანობის გამო სამხედრო სამსახურში გაწვეულნი)

ყველგან, როგორც დიდ წარსულიან თეატრებში, ისე თანამედროვეში. ირვინგი და ანტუანი, ჰოსსარტი და ნოველლი მირიგე რეჟისორები არიან ვენის ბურგ-თეატრისა. ასეა Comédie Fransaise-შიც. იქაც არ იციან აქტიორებმა თავიანთ გარდა რეჟისერები. ჩვენს თეატრებში ეს მიმდინარეობა უკვე იწყება...

— ახლად საქართველოშიაც...

— დიახ, აქაც არის მორიგეობა მსახიობრეჟისერებისა. ვლ. მესხიშვილი, გ. გუნია, შალვა დადიანი, შალ კაშვილი ..

მეორე სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს საერთო განათლების უქონლობა. თუ მსახიობებს გვინდა ვიყოთ ძლიერი, უნდა ვიყოთ განვითარებული. ჩვენ უნდა დავადგეთ და მოვითხოვოთ მაღალი განათლების ცენზი. უნდა დაარსებულ იქნეს კურსები აქტიორებისთვის, სადაც უნდა იკითხებოდეს ლექციები ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ფსიხოლოგიაზე, სოციოლოგიაზე და ყველაფერზე, რაც ეხება თეატრს. უნდა შემოღებულ იქნეს ეგზამენები, რომელთა პროგრამმაში უნდა შედიოდენ მოთხოვნილებანი, რომელნიც ადემატებიან ხოლმე თვითონ კურსების პროგრამას, შემოღებულ უნდა იქნას საეგზამენო წარმოდგენები, მოთხოვნილი უნდა იქნას დისერტაციები ხელოვნების კითხვებზე და როლების ანალიზზე. აუცილებელია მოეწყოს ორგანიზაცია საუბრების და რეფერატების სათეატრო კითხვებზე. ამას გარდა საჭიროა კითხვა —რადგან არაფერს არ შეუძლია მისი შეცვლა. დაბოლოს ჩვენ განვიცდით ახლა მისთანა დროს, როცა მხოლოდ ყოვლმხრივ განათლებას შეუძლია მოგვცეს ძალა, რომ გზა გავიკვლიოთ ამ წინააღმდეგობათა გრიგალში, ძველსა და ახალის შორის. მე მსურს, ამ ბრძოლაში აქტიორი მონაწილეობდეს, ისე კი არა, როგორც ზარბაზნის ხორცი, არამედ როგორც შეგნებული და კარგად შეიარაღებული მეომარი. და მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რა მხარემაც უნდა გაიმარჯვოს, ბოლოს და ბოლოს თეატრი მაინც შეირჩენს მხატვრულს სამართლისა და შეუცვლელ ძირითად დაწყებათ, მიიღებს შეგნებულ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში რა გზითაც უნდა წავიდეს იგი...

— დასწრებიხართ როდისმე საქართველოში „დალალის წარმოდგენას?

— არა

— მოუმართავთ როდისმე თქვენთვის, როგორც აქტორისთვის, და ამასთან რეჟისორისთვის, რჩევისთვის, როგორ დაიდგას „დალალია«?

— არას დროს.

— რამდენი ხანია რაც არ ყოფილხართ საქართველოში?

— ნუ მკითხავთ მაგას; როცა მაგას მოვიგონებ, ნერვები მეშლება, იძულებული ვარ ახლა ავადმყოფობის გამო ისპანიაში წავიდე. გაისათ, რომ მოვკვდე, მაინც ჩამოვალ საქართველოში.

შემდეგ მკითხა, როდის იქნება დანიშნული ყრილობის დღეო, უნდა დეპეშა გამოეგზავნა... დანამდვილებით არ ვიცოდი და ვერ უთხარი.

— სალამი ჩემგან საქართველოს და ქართველ მსახიობებს, რომ ჩამოხვალთ—მეტყვით რაიმე ახალს.

**ტ. ტაბიძე**

# ჩემი ბახალა

არ მომწონს ჩემი ბახალია, ღმერთმა ხომ იცის, არ მოიწონს! იმდენი ვაი და ვარამი თქვენს მტერს, რამდენი მე მენატრობა,—ნეტავი არა მყოლოდა მეთქი!

ლამის გავგიჟდე! ეჭვი მერევა: იქნება მე ჩამოვრჩი ცხოვრებას და ამ დროისა აღარა გამეგება რა?

მანამ ჩემთან იყო, გიმნაზიის გათავებამდე, ერთად ვლოცულობდით ჩემს სალოცავს, თაყვანსა ვცემდით ჩემს წმინდათა წმინდას, მარტო იმის სამსახურს ვნატრობდით მე წარმავალი და ის მომავალი, ჩემზედ უკეთესი ჩემი ნაცვალი.

გიმნაზია გაათავა, ხუთი წელიწადი სხვაგან დაჰყო და მთლად შეცვლილი გადმოვიდა უმაღლეს განათლებით აღჭურვილი ჩემი ბახალა.

დიპლომი რომ არ გადმოეტანა, ვიტყოდი—უნივერსიტეტისა გზაც არ იცის მეთქი!.. ცოდნა—არავითარი, ზნეობრივი პრინციპები—საბოლოოდ დათრგუნვილი, ჩემი სალოცავი — შებილწული და შეგინებული!

იმისი სალოცავი ფული და ქეიფილაა.

უწინდელ რომში ბრბო გაიძახოდა:

— პური და თამაშაო!

ჩემი უმაღლესად განათლებული ბახალაც იმასვე გაიძახის:

— ფული და ქეიფიო!

და როგორც ის ბრბო არას იუკადრისებდა პურისა და თამაშის მოსაპოვებლად, ისე ის არას იუკადრისებს საქეიფო ფულის მოსაპოვებლად.

რა დაუშლის, რომ ადამიანური აღარა სწამს რა?!.

— ალფონსად უნდა გავხდე, თორემ ცუდად ჩემი საქმეო, — ჩივის.— აჰ, ერთი მდიდარი დიდაბერი იყოს ვინმე! თუნდა პაპიჩემის ხნისა, ოღონდ ფული კი ჰქონდესო!

სად იყო, რა ხალხში იყო, რომ ასე ძირიანად შემიცვალეს ჩემი იმედი? ნუ თუ დღევანდელი უმაღლესი განათლება სრული უარყოფაა მოყვასისა და სამშობლოსი? ადამიანობისა და ზნეობრივ სიწმინდისა? ნუ თუ უმაღლესი განათლება დღეს მარტო მხეცურ ჟინის დაკმაყოფილებას ასწავლის და სხვას ყველაფერს უარჰყოფს და სთრგუნავს?

— ელი

# ძახილი სულისა

თვით იმა დღიდან, რაც გაგიცანი, ვწვალობ, გონებას უზომო ჯაფას ვაყენებ, და სახელი ვერ მომინახავს, ვერ მომინათლავს გრძნობა ჩემი.

ჯერ არც გიცნობდი, რო თვალსა და გულში მომხვდი... ერთადერთი წადილი, სწრაფვა ჩემი სულისა იყო — თვალი დამეტკბო შენი ხილვით, გული შენი ცქერით შემეჯერებია.

ამით კმაყოფილი ვიყავი.

არ მესმოდა, არც ახლა მესმის—რა ძალა გაქვს...

ბევრს შენზე ლამაზსა და ახალგაზდას ვიცნობ დაახლოვებით, მაგრამ შენ, გაუცნობელს ყველას გარჩევდი... გაუცნობელი ყველაზე ახლო მიმაჩნდი.

გაგიცანი და მოვიხიბლე.

აქამდის თითქოს უპატრონო ვიყავ—შენ გაუჩნდი პატრონათ და ბატონათ ჩემს სულსა და გულს, აზრსა და გონებას.

შენ დაიუფლე სრულად არსება ჩემი... მინდა სულ შენთან ვიყო, შენით ვტკბებოდე..

ვიცი თვით და მსმენია:—ქვეყნად ორი ულამაზესი, უზენაესი და უძლიერესი გრძნობა არსებობს: — სიყვარული და მეგობრობა.

ხოლო ვერც ერთს ამ სახელს ვერ ვუწოდებ მე ჩემს გრძნობას.

მეშინია და ვუფრთხი მის დამცირებას, შეურაცხყოფას.

გრძნობა ჩემი აუწერელი, უსახელო, უჩინარი, მიუწდომელი ძლიერებისაა და თანვე სადი, ნათელი, სხივ-მოსილი, მომხიბლავი...

რა გრძნობაა ეს გრძნობა.. რა ვუწოდო მას?..

ვინ მისწვდება, რას უხმობს ძახილი სულისა ჩემისა?..

დ. მესხი

# იქ!

იქ წავალ... იქ მყუდროებაა, იქ მხოლოდ მთის ნიავი მეფობს.. მე მსურს მასთან ვიმეგობრო:—ნუ თუ არ მიმიღებს?.. არა, უსათუოდ წავალ: აქაურობა მძულს, იქ სისპეტაკეა... იქ არ ისმის ჩაგვრის ხმა, იქ არ არის უსამართლობა, იქ ყველაფერი უმანკოა...

საღამოს ჟამს იქ მთის ნიავი ტკბილის სისინით ატკბობს ჩაგრულთ... ჰო და მეც წავალ! ის კეთილია, ის მეც მიმიღებს, მის დახმარებით მე შევისწავლი ტკბილ უცხო ჰანგებს... მერე-კი, კვლავ, დავეშვები ძირს და მთის ნიავის ტკბილ გალობის მოსასმენად სხვათაც მოვიწვევ... აი, მივემგზავრები კიდეც...

ოჰ! რა მაღალია ის მთა!.. ნეტა თუ ავაღწევ იმ ადგილს სანეტაროს?..

ი. ჯიხაიშელი

# კაცთმოყვარეობის მქადაგებელი



ჟან-ლეონ ჟორესი (1859-1914)

ჩვენის დროის დემოკრატიამ დაჰკარგა საკაცობრიო იდეალთა ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი. 12 ივლისს პარიზის ერთ-ერთ კაფე—რესტორანში რევოლვერის ორი ტყვიით მოჰკლეს დეპუტატი ჟან-ლეონ ჟორესი, ეს საფრანგეთის სახელგანთქმული შვილი, მუშა ხალხის თავგამოდებული მოსარჩლე — ბელადთაგანი, უმწიკვლო პატიოსანი, გატაცებული სოციალისტი, მადალგონიერი უებრო მწერალი, შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე—ტრიბუნი, დიდებული ორატორი და ფხიზელი მოაზროვნე.

ასეთი ადამიანები ძლიერ იშვიათად იბადებიან ბნელით მოცულთა მზის განსანათლებლად და კაცთათვის უკეთესი გზის საჩვენებლად. ბნელეთის მოტრფიალეთ არ უყვართ სინათლე და აგი ამიტომაც ჩააქრეს კანდელი საკაცობრიო სინათლის გამავრცელებელი — გაველურებულ ადამიანთა სინათლის მამხილებელი...

ჟან-ლეონ ჟორესი დაიბ. 1859 წ. განათლება მიიღო უმაღლეს ნორმალურ სკოლაში, სადაც შეისწავლა ფილოსოფია. 1881-85 წ. ალიბსა და ტულუზაში ფილოსოფიის პროფესორად იყო, 1885-89 წ.- პარლამენტის წევრად, ვითარცა დამოუკიდებელი რესპუბლიკელი, 1889-92 წ. ისევ პროფესორად. ამ დროს გაიტაცა სოციალიზმმა. 1893—96 წ. კვალად დეპუტატად, როგორც სოციალისტი. 1899 წ. მისი მეთაურობით გაერთიანდენ საფრანგეთის სოციალისტები. ვალდეკ-რუსოს კაბინეთში შესვლის გამო ზოგიერთი სოციალისტი ჩამოშორდა, მაგრამ მას მაინც შერჩა სამი მეოთხედი.

ჟორესს ჰქონდა საკუთარი სოციალისტური გაზეთი „ლ,ჰუმანიტე“ (კაცთმოყვარეობა). დაწერილი აქვს მრავ. ფილოსოფიური, ისტორიული თუ სხვათხზულება. ჟორესი უმეტეს ცნობილი იყო, ვითარცა საერთაშორისო ძმობის მქადაგებელი. განსაკუთრებით დღეს, ამ საერთო აღრევის დროს, იყოს საჭირო მისი სიცოცხლე, მაგრამ უგნურის ბოროტმა ხელმა უდროვოდ მოუსპო სიცოცხლე. ჯერ კიდევ არაა გამორკვეული რა ნიადაგზე მოჰკლეს. რა ნიადაგიც უნდა ჰქონდეს მის მკვლელობას, ისტორია მაინც ოქროს ასოებით აღნიშნავს მის სახელს და მთელი ქვეყნის მუშათა კლასი მუდამ მადლობით მოიხსენიებს.

**იოსებ არიმათიელი**

# რემბრანდტი

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 20)

რემბრანდტის საყვარელი დარგი ხელოვნებისა—პორტრეტია; იგი პორტრეტის მგოსანია, და ამაში მას აქნობამდე არა ჰყავს მოცილე. ხატავს ყველას, ვისაც კი ხედავს: კუზიანებს, კოჰლებს და ლოთებს. იგი გულგრილია ადამიანის ფიზიკურ სილამაზისადმი, და მისი ტიტველი ქალები სწორედ რომ გვილახავენ ესთეტიურ გრძნობას თავისი უმსგავსობით. ადამიანის სული, მისი სილამაზე, გამოხატულობა სახეზე—აი რა არის ცენტრალური ადგილი რემბრანდტის ნახატებისა.

რემბრანდტი მკითხველია ადამიანის სულისა, და ამაში სიბერისას მან მიაღწია ისეთს ტეხნიკურ მწვერვალამდის, რომ შეიძლება შევადაროთ შექსპირს, ესქილს, დოსტოევსკის, ამონაკითხის გამოთქმაში კი შოთა რუსთაველს, რომელსაც შეუძლიან მოკლედ, მაგრამ ძლიერად დაგვიხატოს აუწერელი სილამაზე ავთანდილისა, „ტანად სარისა და პირად მზისა, მამაცად მზგავსისა გმირისა“. რემბრანდტი დახელოვნებული ფსიხიატრია, რომელიც ანაწილებს ადამიანის ხასიათის თვისებებს ჯგუფებად, აცალკევებს ნაკლს და ღირსებას და ისევ აერთებს ამას ჰარმონიულად. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მისი ნახატი სახეები, თუმც უცნობნი არიან ჩვენთვის, მაინც მიგვიზიდავენ უზომოდ და აღგვიძრავენ თვისდმი ნათესავურ გრძნობას. პეტერბურგის ერმიტაჟის სიამაყეს შეადგენს რემბრანდტის დარბაზი, რომელშიაც, საბედნიეროდ, კარგა ბევრი დედანია მისი. უკანასკნელთა შორის „პოლონელი წარჩინებულია“, რომელსაც უსაფუძვლოდ სთვლიდნენ იან სობესკის ან სტეფან ბატორის პორტრეტად. არა ჩვეულებრივი გამომეტყველება სიამაყისა და ვაჟკაცობისა შეადგენენ ამ წარჩინებულ პირის თვისებას. რემბრანდტმა შეჰქმნა 6000 სურათი და 3000 გრავიურა. ესეთი დიდი რიცხვი ნაშრომისა, ნიჭის, დაუღალაობის და ხელოვნების სიყვარულის გარდა, აიხსნება, ერთის მხრივ, იმითი, რომ ჰოლანდიაში ამ დროს პორტრეტების მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ ხელოვანთ შეეძლოთ გადაეხადათ თავის ცხოვრების მოთხოვნილებათა ღირებულობა ნახატებით. მიქელ ანჯელომ შეჰქმნა გემოვნების მიხედვით დევების ჯიში, რემბრანდტმა კი — ნათელი, რომელიც შეადგენს მის უდავო საკუთრებას, ნათელი მართლმაგვარი, თუმც არარეალური, და ამ ოქროს სინათლით შემოსა მთელი ბუნება; კორეჯოზე უკეთ შეიგნო ფერადების და სინათლის ძალა, ბუნება და კანონები; წამოაყენა, როგორც პრინციპი მხატვრობაში, განათებული ჰაერი, თითქმის სიბნელეც კი განათებული, და ამაშია მისი დიდება. რემბრანდტის შემოქმედება კაცობრიობის ისტორიაში მოულოდნელი სასწაულია და ისეთივე მაღალმნიშვნელოვანია თავის მსოფლიო ხასიათით, როგორც უკვდავ შექსპირის. მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღენი საზარელია: ავადმყოფი მოხუცი, თავმინებებული ყველასგან, ღვინოში ეძლევა დავიწყებას, რაიც, უმაღლეს სამართლიანობის თვალსაზრისით, შეადგენს უფრო ღირსეულ და მშვენიერ დაბოლოვებას, ვიდრე ასწლოვან მდიდარ ტიციანოს ჭირი, რუბენსის მზეთუნახავ ცოლთან გამოთხოვება.



**პოლონელი წარჩინებული**

აღსრულდა!—1669 წელს ოქტომბრის 8-ს გარდაიცვალა აუწერელ სიღარიბეში ოდესღაც დაუფასებელ მუზეუმის მესაკუთრე დიდებული ხელოვანი. მისი სიცოცხლე იყო ბედის ტრაგედია; ამიტომაც მას პირველ თანამედროვე ადამიანის ტრაგედიის სახელი უწოდეს.

**დავ. კილოსანიძე**

# მანჯაფა

ერთი მოხუცებულისაგან გავიგონე:

„ნარდი — ბედია,
ჭადრაკი — ჭკუა,
მანჯაფა — ცრუა,
ვინც იმას მისდევს,
ის უფრო ცრუა“.

რა იყო ეს „მანჯაფა“ და რაში მდგომარეობდა?

რაკი სიტყვამ მოიტანა, უმორჩილესი თხოვნით მივმართავ ჩვენს საყვარელ ვასო აბაშიძეს:

ნუღარ გვაგონებს სცენიდან სიტყვას „ჭანტრაკულად“, არამედ „ჭადრაკულად“; და, ბატონო, და, და არ ტ.

**ი. მ.**

# ომიანობა

ამ ერთი კვირის წინად გაისმა ომის ზარი და დღეს მთელი ევროპა ზოგან ომში, ზოგანაც ომის სამზადისშია ჩაბმული. ომის მიზეზი-კი, ერთის შეხედვით, თითქო სულ უბრალო გარემოება იყო. ამა წლის 15 ივნისს სარაევოში მოჰკლეს ავსტრო-ჰუნგრეთის ტახტის მემკვიდრე ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი. ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობამ ამ მკვლელობაში ბრალი დასდო სერბიის მთავრობას და მძიმე მოთხოვნილებანი წარუდგინა, რომელთა სავსებით დაკმაყოფილება სერბიამ ვერ შესძლო. ამით ისარგებლა ავსტრიამ და სერბიას ომი გამოუცხადა.

ავსტრო-ჰუნგრეთი, სხვადასხვა გვარტომთაგან შემდგარი, სერბიაზე მდიდარი, ძლიერი და ერმრავალი ქვეყანაა და ადვილადაც მოსპობს პატარა სერბიას, მაგრამ აქ ხმა აღიმაღლა დიდმა რუსეთმა სერბთა სასარგებლოთ და გამოესარჩლა, როგორც მონათესავე ერს (სერბნიც სლავიანთა მოდგმისანი არიან) და განაცხადა—სერბიის გაქელვას გულ-გრილად ვერ შევხედავო. ავსტრიამ მაინც ჯარი შეუსია სერბიას და სერბთა დედა-ქალაქს - ბელგრადს ზარბაზნები დაუშინა.

რუსეთმა 18 ივლისს ჯარების მობილიზაცია (საომრად შემზადება) გამოაცხადა. 19 ივლისს გერმანიის ელჩმა პეტერბურგში რუსეთის უცხო საქმეთა მინისტრს შეატყობინა, რომ გერმანია რუსეთს ომს უცხადებს.

ამ გარემოებამ უფრო გაართულა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობა და ყველგან დაიწყო საომრად მზადება.

საქმე ისაა, რომ ევროპის დიდი სახელმწიფონი ორ უმთავრეს ბანაკად განიყოფებიან: ერთის მხრით **სამთა კავშირია**—ავსტრო-ჰუნგრეთი, გერმანია და იტალია; მეორე მხრით—**სამთა შეთანხმება**—რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი. ომიანობის დროს, თუ საჭიროებამ მოითხოვა, სამთა კავშირის წევრნი—ავსტრო-ჰუნგრეთი, გერმანია და იტალია ურთიერთს უჭერენ მხარს, ხოლო სამთა შეთანხმება—რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი—ერთმანეთს.

გერმანიის მიერ ომის გამოცხადების გამო 20 ივლისს გამოცხადდა უმაღლესი მანიფესტი მათის იმპერატორებითი უდიდებულესობის ნიკოლოზ II-ისა, რომლითაც მოუწოდებს ჯარი და ფლოტი საომარ წესზე განემზადოს. ამავე დღეს საფრანგეთმა გამოაცხადა ჯართა საყოველთაო მობილიზაცია.

23 ივლისს ინგლისმა გერმანიას გამოუცხადა ომი, ხოლო 24 ივლისს ავსტრო-ჰუნგრეთმა—რუსეთს. პატარა ჩერნოგორიამაც-კი თანამოძმეთა გამოსარჩლებისათვის ავსტრიას გამოუცხადა ომი, ხოლო სამთა კავშირის წევრმა იტალიამ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი. ევროპის დანარჩენი სახელმწიფონიც ომის მოლოდინის ციებ-ცხელებაში არიან და თავის სამხედრო ძალღონეს იკრებავენ. ამავე გზას დაადგა ოსმალეთიც.

ამ გვარად დღეს თითქმის მთელ ევროპაში საალყო - საომარი წესებია გამოცხადებული და ჰაერი თოფის წამლის სუნითაა გაჟღენთილი.

ომიანობის გამო უმაღლესად გამოცხადდა, რომ 26 ივლისისთვის შეკრებილ იქმნეს სახელმწიფო საბჭო და სახელმწიფო სათათბირო.

რუსეთის ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა მისი იმპერატორობითი უმაღლესობა **ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე**. —ლი

---

# ომი

Si vis pacem—para bellum. აი ასეთი დასკვნა გ მოიყვანა რომაელმა, რომელსაც ჩაუკვირდა ხალხთა ურთიერთობას,—ვისაც მშვიდობიანობა სურს, ომისთვის მზად უნდა იყოსო. და მართლადაც, შეუძლებელია ადამიანი ადამიანის გვერდით თავს უშიშრად გრძნობდეს. ერთი მხრით ადამიანი თითქოს იმის ცდაშია, მშვიდობიანობა დამყარდეს კაცთა შორის და იგივე ადამიანი მთელს თავის ჭკუა-გონებას ადამიანის მომსპობ მანქანების გაუმჯობესებას ანდომებს. თითქოს ყველა სახელმწიფო მოწადინებულია განამტკიცოს საერთაშორისო კავშირი და უფლებანი და ამავე დროს მეზობელს კანჭებში უცქერის და იმის ცდაშია, როგორ ჩამოვგლიჯო ერთი ნაჭერიო.

ბოლოს და ბოლოს ეგრედწოდებული საერთაშორის უფლება არც კი არსებობს თითქოს,

და ერთმანეთის ურთიერთობას მხოლოდ ძალმომრეობა განაგებს. განა ორი მეზობელი ერთმანეთს იმიტომ არ დაეძგერება, რომ ერთი ძლიერია და მეორე კი უძლური! განა როდისმე, თუ სახელმწიფო ძალას გრძნობდა, რომელიმე ჰუმანურ მოსაზრებანი შეუჩერებიათ იგი მეზობლის თავდასხმისგან! და განა საკმარისი იყო ის საშინელი სისხლის ღვრისათვის ის casus belli, რომელიც ავსტრო-ჰუნგრეთმა მოიმიზეზა!

წლიდან-წლამდე ავსტრო-ჰუნგრეთში შეუძლებელი შეიქმნა მის შემადგენელ ერთათვის ცხოვრება; თანდათან სული ეხუთებოდათ, თან და თან უდიერად და უკმეხად ექცეოდნენ პატარა ერებს და ახლა თითონვე აცხადებს: „ტერიტორიალურ შემატებისათვის კი არ ვიბრძვი, არამედ ჩემი პრესტიჟის აღდგენისთვისა"-ო და ერთობ გალა-



**ვილჰელმ II**

გერმანიის იმპერატორი, რომელმაც რუსეთს ომი გამოუცხადა და საფრანგეთს, ბელგიას და სხვ. ბრძოლა აუტეხა.



**ალექსანდრე**

სერბიის ტახტის მემკვიდრე და სამეფოს დროებით მმართველი მამის ავადმყოფობის გამო, რომლის სამეფოსაც ავსტრიამ ომი გამოუცხადა.



**ფრანც-იოსები**

ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერატორი, რომელმაც სერბიას ჯარი შეუსია და რუსეთს ომი გამოუცხადა.

ღებული გერმანიაც, რომელიც ერთობ გაიტაცა სურვილმა — მთელს ქვეყნიერობას მოსდოს მკლავი, მისი მოსარჩლე გახდა.

თვითონ ავსტრიის მთავრობამ შექმნა ისეთი მდგომარეობა სერბიისათვის და სხვებისთვისაც, რომელიც მის ფარგლებში შედიან, რომ დღეს თუ ხვალ ხმა უნდა ამოეღოთ, რადგანაც უსამართლობა აუტანელი ხდებოდა და როდესაც სერბიამ მართლადაც თვისი გულის წყრომა გამოაშკარავა, ბატონმა ეს იუკადრისა. უმახლობელესი საბაბი ამ საშინელი ომისა თითქოს ეს არის, მაგრამ მიზეზი და დასაბამი მისი ისევ ადამიანის გაუმაძღრობა, და ბუმბერაზ სახელმწიფოთა მეტოქეობა და მოჭარბებული ენერგიაა სახელმწიფონი თითქოს ვერ მოერიენ თავიანთ ძლიერებას და განავარდება მოუნდათ.

მაგრამ რა შეიძლება მოუტანოს ავსტრო-ჰუნგრეთს და თვით გერმანიის მოდგმის ხალხს? ერთობ მოუფიქრებელი და აწონ-დაუწონელი გადაწყვეტილებაა ეს ავსტრიის მხრით, რადგანაც ისეთი შემადგენლობის სახელმწიფოს, როგორიცაა იგი, მეტი სიფრთხილე ჰმართებს.

იმდენი დამცირებისა, იმდენი შეურაცხყოფის შემდეგ, რაც ავსტრიის ერებმა მთავრობისაგან განიცადეს, იმედი რატომ უნდა ჰქონდეს მას, რომ ისინი ამ გაჭირვების დროს მას ერთგულებას გამოუცხადებენ და მისი პრესტიჟისათვის მისი მთლიანობისა და ძლიერებისათვის თავსაც დასდებენ?

შეუძლებელია ავსტრია არ გრძნობდეს იმას, რომ მის სახელმწიფოში ბევრი არავინ მოიძებნება მისი ერთგული და ასეთის რიხით ვერ იმოქმედებდა, თავისი ძლიერი მოკავშირის, გერმანიის იმედი რომ არა ჰქონდეს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რა ბუმბერაზი და ძლიერი მტრები დაეჯახებიან მათ, მაშინ კითხვა იბადება: „ხომ არ დამდგარა უკანასკნელი ჟამი ჰაბსბურგთა დინასტიისა და საერთოდ გერმანიის ძლიერებისა?" ვინ იცის ვისი ბედი როგორ გადაწყდება ამ საბედისწერო ომში? ვინც დარჩება — ნახავს.

**ს. და-ნი**



**სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე არჩეული სპეცია-ლური კომისია, იოსებ გედევანიშვილის თავმჯდომარეობით.**

1. შალვა დადიანი, 2. ბ. კანდელაკი, 3. კ. ანდრონიკაშვილი, 4. მეხუზლა, 5. ნ. გოცირიძე, 6. პ. ლეჟავა, 7. აკ. ფაღავა, 8. იოსებ გედევანიშვილი, 9. ალ. წუწუნავა, 10. ვლ. ალ.-მესხიშვილი, 11, ის. ვარაზიშვილი, 12. ალ. იმედაშვილი, 13. ალ. კრინიცკი, 14. ნ. სიხარულიძე, 15. ბ-ნი მატარაძე, 16. ბ. შალიბაშვილი, 17. ბ. ნუცუბიძე, 18. სით. ქანტურიშვილი.

# შუქურ ვარსკვლავი

(ხალხური ლეგენდა)

შუქურ ვარსკვლავის პირიმე,
რა მოკიაფე რამ არი,
მის სხივზე თურმე რუსთველსა
წერილებს სწერდა თამარი...

**აკაკი**

## მეგობარს

მეგობარო! შენ მოგიძღვენ, წაიკითხე ეს ფურცელი.
მიჰქრის ჟამი, დღეს დღე მისდევს, თვესა თვე და წელსა წელი,
ხალხი მოდის, ხალხი მიდის, მაგრამ რჩება ფიქრი მწველი,
სანამდის დრო არ დადგება სანატრელი, სასურველი.
ამ ფურცელით გამოვხატე მკრთალი სახე ჩემი სულის,
სულის ლტოლვით დაქანცულის, მაგრამ ისევ აღგზნებულის,
რა ცეცხლიც სწვავს დღეს გრძნობა-გულს, ნეტავ ენთოს ჩემში სულ ის...
გეტყვი არაკს: ერთხელ კაცმა სადღაც წმინდა ოქრო ნახა
და იმისი გადადნობა მოინდომა, განიზრახა.
მართლაც მალე გადაადნო, აისრულა რაცა ჰსურდა,
კეთილშობილ მადანს რვალი შეურია, არ შეშურდა.
შემდეგ ხალხში წმინდა ოქროდ ასაღებდა მეტიჩარა,
მაგრამ იმის სიყალბესა ყველა მიხვდა ერთობ ჩქარა.
ვით იმ კაცმა ოქრო ნახა, ეს თქმულება ვნახე მეცა,
და მინდოდა ყველაფერი სხვებისთვისაც გადამეცა.

მხოლოდ, ჩემო მეგობარო, მომიტევე სითამამე:
მე გარდავქმენ ეს თქმულება, ჩაუმატე ბევრი რამე.
რაც არ ვარგა — მე მეკუთვნის, კარგი კიდევ ხალხსა ბრძენსა,
ვით გაზაფხულს სილამაზე, სიმხურვალე მზეს, სხივთ მფენსა,
ღამის მგოსანს ტრფობით კვნესა, ნავარდობა შევარდენსა,
უკვდავება სულს მშვენიერს, მაღლა ცაში ანაფრენსა.

I

კარგია ტყეში მავალი ირემი ლამაზ რქიანი,
საამო სურნელთ მფრქვევია ვარდი, ზამბახი, იანი,
მომხიბლველია, როდესაც სტვენს შაშვი შავ-შავ ფრთიანი,
უფრორე ტურფა ყოფილა თამარ, შავ მელნის თმიანი.
ომის დროს ლომი ნამდვილი, გველივით ბრძენი, ჭკვიანი;
გულუხვი, მტრისა შემბრალე, შუქმფენი, ენა-წყლიანი.
შოთამ ისურვა შექება ალვისა ედემს რგულისა,
ლალისფერ ვარდთა და კბილთა, ბროლისგან ჩამოსხმულისა,
ბნელ კუნაპეტის თვალისა, სათის ტყით შემორტყმულისა,
თვით მხეცთა დამმონებელის, გულსა დამჩენის წყლულისა.
თამარს აქებდა მშვენიერს შინა და უცხო ერია.
ენავ დადუმდი! კალამო, რად არ მოგტყდება წვერია?
რას შესძლებ, როცა თამარი შოთას ვერ აუწერია,—
ვინც უძლევ საქმეს ხელს ჰკიდებს — გახდება თავის მტერია...
გულო, ნუ შფოთავ, ტურფანი ეს წინად იბადებოდნენ,
ეს წინად იყო, თუ ერთის სპეტაკი ტრფობით ბნდებოდნენ,
ლომსა და ვეფხვსა ვაჟკაცნი გულგრილად ეომებოდნენ,
მათ ერთი ჰყავდათ მიჯნურად, იმ ერთისთვისა კვდებოდნენ.
დღეს სულ სხვას ვხედავთ. დაკნინდა სიყვარულიც და ტრფობაცა:
მკერდის ქვეშ გული არ ღელავს, გაცივდა წმინდა გრძნობაცა,
ლაჩრად გადიქცა ქვეყანა, არ ძალუძთ მტრულად მტრობაცა,
მეტ წილად სტყუის ღმერთმანი, ძმობაც და მეგობრობაცა.
დღეს ერთს შეჰფიცვენ სიყვარულს, ხვალ კვლავ სხვას ეფიცებიან,
გასტეხენ ფიცსაც, სიტყვასაც, მარტივით შეიცვლებიან,
ადამიანის შობილნი პირუტყვებს ემსგავსებიან,
უძლურს სულს ჰხდიან, ძლიერს კი ფერხთა ქვეშ გაეგებიან,
თავიანთ პირად მე-სათვის არაფრის წინ არ დგებიან,
მხოლოდ მცირედი ნაწილი იმათგან განირჩევიან,
ისინი მარად სცოცხლობენ, მათი საქმენიც რჩებიან,
კეთილსა სთესვენ ქვეყნადა, რითაც მრავალი რჩებიან
ხეს გამხმარს ვერვინ უწოდებს, ფესვები თუ არ ხმებიან.

II

ქართველთ დიდება თამარი შუქურას შეჰყვარებოდა,
სულს ლევდა დედოფლისათვის, როგორც სანთელი დნებოდა,
თუ ვერ ხედავდა მშვენიერს, დარდი სტანჯავდა, კვდებოდა,
რა იხილავდა სხივებით ესალმებ-ეგებებოდა;
მზეს, მთვარეს, ვარსკვლავთ კრებულსა, ნამს ნიავს ევედრებოდა.
მოკითხვის წიგნსა ატანდა, ერთს ადგილს ველარ დგებოდა.

ვნახე დილის ჟამს ცის კიდე, სისხლის ფრად იღებებოდა,
შუქურაც სახეს იხოკდა, ცის კიდურს ედარებოდა.
ამბობდა: „მიყვარს თამარი, ვეტრფი მკერდ გაშლილ, ღიასა,
ნაზია, როგორც ყვავილი, არ გასრესს არცა ჭიასა.
იმისი ტრფობით ვემსგავსე უფრო დამჭკნარსა იასა,
გულს ცეცხლის ალი მოედო, სევდამ იმატა, იასა.
როცა ვერ გხედავ ღვთაებრივს, ნაღველი აღარ მეშვება.
და ისე ვშრები ცრემლისგან, ვით უდაბნოში ხე შრება,
არ ვიცი რაა სიამე, არ ვიცი რაა მე შვება.
რა რიგ მსურს ვიყო ნიავი, თამარს ურხევდე დალალებს,
ჩაუკოცნიდე ირმის ყელს, ტუჩებს მარჯანსა და ლალებს
მაგრამ ვერ მივსწვდი საწადელს და სულიც მარტო ვალალებს.
მაშინ კი, როცა ღამე შლის თეთრი ვარდების ალამსა.
შორით შევსცქერი დედოფალს, ვხედავ ხელთ იღებს კალამსა
და წიგნს სწერს, ჩემი სხივებიც უძღვნიან გულწრფელ სალამსა.
მაგრამ, როდესაც დაწერილს დაუწყებს ხოლმე ხევასა,
ცხელ შუბლსა სარკმელს მიაყრდნობს, გრძნობას უგზავნის წყევასა,
დაფარულ დარდებს უცხადებს ჰაერის წყნარსა რხევასა
და სტირის, სტირის, მაშინ მეც სიბრალულითა ვკვნესია,—
ოხვრა და ცრემლი მდუღარე, შეყვარებულთა წესია:
თვით ჯოჯოხეთი სატრფოსთან სამოთხის უკეთესია“.

III

ასე ჰგოდებდა შუქურა, სანამ დღე იდგა მზიანი,
და ..ვერიას სწყალობდა ბუნება თავაზიანი,
მაგრამ გაზაფხულს თან მოჰსდევს ზამთარი თეთრ წვერ-თმიანი.

(დასასრული იქნება)

**მთის ნიავი**

# საყვედური

ისე წახვედი, რომ წასვლის ჟამსა
არ გაგახსენდი, აღარც კი მნახე.
სატრფოვ, გაფიცებ სიცოცხლის წამსა,
აბა რას ფიქრობ, რა განიზრახე?..

ნუ თუ დღეს მართლა წაბლისფერ კავებს
გვირგვინი გიმკობს, გვირგვინი წმინდა?
სხვის მკერდზე იშლი ვნებით ნაწნავებს
და მელნის ტბები ნისლმა შებინდა?
მოფეთქილ გრძნობის ცეცხლით გეგზნება
ბაგე ყვავილი ბროწეულისა,
თუ კოცნა კოცნას ეტიტინება,
და გწვავს სახმილი სიყვარულისა?...

დე ასე იყოს, თუმც ცრემლთა ნამსა
ვერა, ვერ მოწყვეტს თვალს სივაგლახე,
მხოლოდ გემდური, რომ წასვლის ჟამსა
არ გაგახსენდი, აღარც კი მნახე.

**ცვარ-ნამი**



ქ-ნი **კაიო**, გაზ. „Figaro“-ს რედაქტორის მკვლელი. სასამართლომ გაამართლა,

# დედინაცვალი

(გაგრძელება. იხ. ,,თ. და ც.'' № 19—20)

## მოქმედება მეორე

დილაა. სცენა წარმოადგენს ეზო-მიდამოს დედინაცვლისას. მარცხნივ მხარეზე ერთ სართულიანი შნოიანი სახლი აივნით. ეზოში ხეივანია, საცა სუფრა გადაფარებული მაგიდა დგას. ფარდის ახდისას 14 წლის მარო, კოხტად ჩაცმული, ჩაის თავდარიგს ეწევა. წუთის შემდეგ მიდის მარცხნივ სახლის გასწვრივ, სამზარეულოსკენ.

### I

**მარო და ეთერა**

**მარო.** ეთერა! სად დაიკარგე, გამოიტა ბარემ ხაჭაპური. (ბრუნდება ისევ მაგიდასთან და ჭიქა-ლამბაქებს ამწკრივებს)

**ეთერა.** (კოჭლი და მეტად უღამაზო დედაკაცია. გამოაქვს დიდი სინით კარგა მოზრდილი ხაჭაპური, მაროს გადასცემს და უკან ბრუნდება)

**მარო.** სამოვარი ჯერაა კარგად გაწმენდილი.

**ეთერა.** რა ვქნა, ყველაფერს რო ვერ აუვედი!

**მარო.** კარგი ერთი, ნუ მოჰყვები წუწუნს. გოგო სადა გდია? დამიძახე აქ!

**ეთერა.** თავი დაანებე, ავად არის გუშინს აქეთ ველარ დადის. ფეხში ეკალი შერჭობია. იმის ასე ულვთოდ წვალებას, რა გიჭირს ხან-და-ხან შენც გაანძრიო ხელი.

**მარო.** შენ, ეი, ბუზღუნავ! ჩუმად თორემ... ხო არ გინდა ბარგი აიკიდო?

**ეთერა.** (ხელებს ჩაიქნევს) გაჭირვებას დაუდგეს თვალები, თორემ გიორგის შემდეგ აქ რა გამაჩერებდა. (მიდის)

**მარო.** მოეთრიოს აქ გოგო!

### II

**მარო და ელიკო.**

**ელიკო** (შემოდის კოჭლობით)

**მარო.** გამოიარე ჩქარა! შენ მაგ ხერხით გინდა აიცდინო დღევანდელი გატყება? ვერ მოგართვი. დეიდამ უკვე გაიგო, რომ მოლოზნანთან კიდე დადიხარ. მიპასუხე რატომ არ გესმის შენ უფროსების ბრძანება? ხმასაც არა მცემ? კარგი, რახან ასეა აბა ნახავ რა დღე დაგადგეს. (მიუთითებს სახლისაკენ) ხომ ნახე რამოტელა კაცია დეიდას ქმარი. დევსა ჰგავს. ის იქნება შენი სულთამხუთავი თუ რასმე დააშავებ, დეიდა იმას ეტყვის და მერე კი ვაი შენი გაჩენის ბრალი (აიღებს ხაჭაპურის ნაჭერს და დაცინვით გაუწვდის) ხომ არ ინებებთ? (მერე თითონ ჩაიდებს პირში) ახ. პირი არ დაგეწოთ! აბა ეხლა წამობრძანდით ჩემთან მარანში. (მიდიან მარცხნივ, ისმის მაროს ხმა: ორი ბოთლი და ღვინის დოქი მომიტანე ჩქარა!)—(ამ დროს გაისმის სახლიდან ქალის მხიარული კისკასი და ერთი-ორი შეკივლებაც: სჩანს ვიღაც უღიტინებს გამოვარდება დედინაცვალი აივანზე კისკისით, უნდა ძირს ჩამოასწროს, მაგრამ იმას თან გამოსდევს ხალამპრე ნინიძე ახალუხის ამარა, საყელოს ღილებიც შეუკვრელი აქვს. დაეწევა კიბის პირველ საფეხურზე, მოჰხვევს ხელებს, ძალით ჩაიკრავს გულში და მადიანად ჰკოცნის)

### III

**დედინაცვალი და ხალამპრე**

**ხალამპრე.** შენი ჭირიმე, ჩემო შუქურავ, ჩემო ბედნიერებავ! რომ მირბიხარ, სად მირბიხარ? როგორ, კაცი გადამრიე და გარბიხარ? (ჰკოცნის კვლავ)

**დედინაცვალი.** სირცხვილია, ნუ გადარეულხარ, სხვა არა იყოს რა შენი ხნის კაცს მაგ საქმეში ცოტაოდენი მომჭირნეობა მართებს.

**ხალ.** შენ რომ ფიქრობ, სულ ტყუილია. ჩემო ცუგრუმელა, სულ ტყუილ!

**დედ.** კაცო გეყოფა, წადი ტანთ ჩაიცვი, აგერ საუზმეც მზათაა; აბა ჩქარა!

**ხალ** ეხლავ, ჩემო კარგო, ეხლავ. (შედის სახლში)

(მივა მაგიდასთან და ათვალიერებს)

### IV

იგივე, **მარო** და **ელიკო.**

**მარო.** (წინ მოუძღვის)

**ელიკო.** (მოდის კოჭლობით, თან მოაქვს ორი ბოთლი ღვინო)

**მარო** (ჩამოართმევს და მაგიდაზე დგავს).

**ელიკო** (უკან ბრუნდება)

**დედ.** მოიცა!

**ელიკო** (შესდგება)

**დედ.** კიდევ არ იშლი სასაფლაოზე ხე-

ტიალს? გოგო! რატომ არ გესმის ჩემი ლაპარაკი? ხომ არ გინდა აგაგლიჯო ეს მუნიანი თავი? (თმაში სწვდება მასწი-მოსწევს)

**ელიკო** (ტკივილისაგან) ოოჰ? (ჩუმად ქვითინებს).

**დედ**. ხმა ჩაიკმინდე, თორემ ოთხში ამოგიღებ, შე ჩხინკიანო, შენა. გასწი და თუ კიდევ გაგიბედნია, მე ვიცი რასაც გიზამ.

**ელიკო** (მიდის ლას-ლასით)

**მარო** (დედინაცვალს რადაცას ჩაუჩურჩულებს, ისიც თავს უქნევს. მაროც ელიკოს თან გასდევს და მიეფარება)

V

**დედინაცვალი და მალხაზი** (შემოდის-ჭიშკრიდან)

**მალხაზ** (მიეპარება) გამარჯობა პატარძალო!

**დედ**. (შეკრთება) უი, როგორ შემაშინე, (ხელს გაუწვდის) გაგიმარჯოს ჩემო, შევარდენო, ჩემო მამალო არწივო!

**მალ**. (დამცინავი ღიმილით შეაცქერდება დედინაცვალს) რასა იქ, სალომე, როგორა ხარ?

**დედ**. ღვთისა და შენი წყალობით ჯერჯერობით არა მიშავს რა. რას შემომცქერი ასე?

**მალ**. იცი, რაღაც ძალზე გაცრეცილი მეჩვენები, თითქოს გაუნუსხავთო. დავიჯერო პირველმა ღამემ ასეთი დაღი დაგასვა?

**დედ**. (თავს უქნევს) ეგენი არ იყოს.

**მალ**. სხვა, სად არის შენი მეფე-ბატონი? არ შეიძლება ჩვენცა ვნახოთ? შენი მხიარული კისკისი მთელ ამ უბანს აყრუებდა, ხომ არ გილიტინებდა ი ოჯახქორი ა? ხა-ხა-ხა-ხა! ასე თუ ისე, ძალიან კი მოგდებიათ ორივეს.

**დედ**. უზომოთ. გაგიჟებული ვართ ერთმანეთისათვის.

**მალ**. შენი თილისმა ვის არ გააგიჟებს. შენ ეს მითხარი, ფულები სულ ჩაგითვალა?

**დედ**. მაშ! ისე ვინ აღირსებდა ბედნიერებას. შენ რაღაც მოღუშული მეჩვენები, რა მიზეზია? იქნებ გუნებაში ნანობ, რომ სიყვარელში სხვა ჩაგეზიარა! დამშვიდდი ჩემო თვალის ჩინო. შენც კარგად იცი, მე ის არ მიყვარს და არც არაოდეს მეყვარება ჩვენი საერთო მიზანი იყო იმისი ხაზინა დაგვესაკუთრებინა; ისე კი იმის აქ შემოსვლით, ჩვენთვის არაფერი იცვლება. მე მინდა კვლავაც ყოველ დღე გხედავდე, ყოველ დღე ვსტკბებოდე შენის ალერსით და ვიწოდე შენი ცეცხლით. დღეს სამხრობისას იქ დამიხვდები, საბინდილოზე.

**მალ**. როგორ ატყობ, საჩვენოა?

**დედ**. იმედია დავიმორჩილებ; თუ არა და—თავიდან მოშორებაც ადვილია.

VI

იგინივე და **ხალამპრე**

**ხალამპრე** (გამოდის და აივანისკენ გაემართება)

**მალ**. (დედინაცვალს) სსს! მოდის! (წამოდგება)

**დედ**. ხალამპრე! გაიცანი, ესაა მე რომ გეუბნებოდი ჩემი საწყალი ბიჭის ნათლია, მალხაზ უნგიაძე.

**ხალ** (მოსული და მხარ-ბეჭიანი შავ წვერ-ულვაშიანი ვაჟკაცია ჭაღარა თითქმის არ ემჩნევა. შრომისაგან დაკოჟრებული ხელებით. აცვია შავი ჩოხა-ახალუხი, სადა ქამარ-ხანჯალი, ფეხებზე წუღა საცვეთები, თეთრი მასრები. თავზე ყაბალახი აქვს წაკრული) მართალა! (გადაკოცნის) ეს არის მალხაზიი, კეთილი შენიჭირიმე, კეთილი. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ნათლია მალხაზი, მართლაც კაი ბიჭი ყოფილა.

**მალ**. აზვიადებთ, მაგდენი არაფერი.

**ხალ**. არა, რაც მართალია, მართალია

**დედ**. აბა, ეხლა დაბრძანდით, საუზმეს შევექცეთ.

**ხალ**. აბა, მალხაზ, აი აქ შუაში.

**მალ** არ მომიკვდეს ხალამპრე, შუაში ოჯახის თავი უნდა დაბრძანდეს, იმის გვერდით მისი კნეინა, მე კი აგერ ბოლოში.

**ხალ**. რა კი არ დაგიშლია, იყოს ნება შენი (სხდებიან)

VII

იგინივე და **მარო** (შემოდის)

**დედ**. მარო! შენ აგერ ჩემთან მოიდგი სკამი. (შეექცევიან საუზმეს) მიირთვი, ნათლია, ჩემი ხელით გაკეთებულია.

**ხალ**. ბ-ნო მალხაზ! ძალიან შემკული კი ყოფილა ეს თქვენი სოფელი.

**მალ.** დიახ, ყველანი აგრე მოგახსენებენ; ჩვენ კი მაგრე რიგად არ ვაფასებთ.

**ხალ.** ეს ასეა ყოველთვის, ნათქვამია „შინაურს მღვდელს შენდობა არა აქვსო“

**მალ.** დიახ, დიახ!

**ხალ.** (დედინაცვალს) ეს შენი კაცი მიდამოც კარგი რამ ყოფილა, ჩემო სალომე!

**მალ.** ამ არე-მარეში, მართლაც რომ პირველია.

**ხალ** ის წყარო, ეკლესიასთან რო მიჩხრიალებს; მთელ სოფლადა ღირს მე და ჩემა ღმერთმა, მთელ სოფლად.

**მალ** (ასწევს ჭიქას) თქვენი გამარჯვებისა, მოყვრებო; ღმერთმა მზე და მთვარესავით შეგაბეროთ ორივე ცოლ-ქმარი (სვამს)

**ხალ.** (წამოდგება ჭიქით ხელში) გმადლობ შენი ჭირიმე, გმადლობ. (სვამს)

**დედ.** (ცბიერი ღიმილით) გმადლობ! (სვამს)

**ხალ.** ცოლშვილიანი ბრძანდები, მალხაზ!

**მალ.** ჯერ არა.

**ხალ.** არა უშავს რა, ჯერ ხომ სულ ახალგაზრდა კაცი ხარ. რამდენი წლის იქნები?

**მალ** ოცდა-ათის.

**ხალ.** მართლა? მაშ ახლა ისეთ ჰასაკში ყოფილხარ, რომ დაგვიანება არ გამოდგება. (ჭიქას აიღებს) ილოცხლე, მალხაზ მალე, შენი ბედნიერებით ღმერთმა ჩვენც გაგვახაროს, (სვამს)

**დედ.** ამინ!

**მალ.** გმადლობთ!

**ხალ** (დედინაცვალს). რას მეუბნებოდი წელან, ეს ქალი შენი ძმის წულია თუ დისწული?

**დედ.** დისწული.

**ხალ.** (მაროს) რამდენი წლისა ხარ, ქალო?

**მარო.** თოთხმეტის.

**ხალ.** დედ-მამა გყავს?

**დედ** ჰყავს, მაგრამ ამის გაზრდა, რაკი ღმერთმა შვილი არ შემარჩინა, მე ვიკისრე იმედია შენც დამეხმარები.

**ხალ.** დიდის სიხარულით, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, დიდის სიხარულით. თავი ცოცხალი რადად მინდა, თუ ამაში გიმტყუნებ.

**დედ.** ადექი და აკოცე შენს საყვარელს ძიას.

**მარო.** (ასრულებს)

**ხალ.** სადა სწავლობს?

**დედ** გიმნაზიაში, მეოთხე კლასშია.

**ხალ** ყოჩაღ! (ეზოს ათვალიერებს) ილი, სალომე! თუ შენი ნებაც იქნება, აი იმ ფიცრულს სადურგლედ გადავაკეთებ, რას იტყვი?

**დედ** როგორც გინდოდეს.

**მალ** (წამოდგება) ახლა კი უნდა წავიდე. (ხელმძრეს) მოყვარევ, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. იმედია, მალე ჩვენც გვესტუმრებით.

**ხალ.** რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ასე მალე რად უნდა მიგვატოვოთ?

**მალ.** უეჭველად უნდა გიახლოთ,

**ხალ.** ყმაწვილო, რა მიგაჩქარებს? ან მოსვლა რა იყო ან წასვლა რა არი, დარჩი ბარემ სადილათ, თუმცა ამ ოჯახში მეც ჯერჯერობით სტუმარი ვარ, მაგრამ, იმედია, ჩვენი ძვირფასი დიასახლისიც ბანს დამაწევს.

**დედ.** მართლა, ნათლი! რა მიგაჩქარებს?

**მალ.** ღმერთმანი დრო არა მაქ. ხალამპრეს ნახვის სურვილმა წამძლია და, როგორც იყო, ცოტახნით გამოვირბინე. (ხელს ართმევს)

**ხალ.** მოიცა, კაკო, გაგაცილოთ მაინც, (გადიან ეზოდან შიშვრით)

**დედ.** ეთერა! ეთერა! დაყრუვდი? აალაგე აქაურობა. (გადის და მაფრეხს).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ქართველ მწერალთა წერილები

როგორც წინა წერილში (იხ. „თ. და ც.“ № 20) ვსთქვი, ამავე საგანზე გრ. ყიფშიძეს მივწერე წერილი.

(მომყავს წერილი შემოკლებით):

ძმაო გიგო! თქვენმა რედაქციამ ისეთი საქმე მიყო, რომ სამუდამოდ დამკლა იმ ლანძღვითა, რომლის წინაალმდეგ მუდამ ჰქადაგებს ხოლმე. ნეტავი ლიტერატორი კი არა, ჩემს დღეში ლიტერატორს წინაც არ შევყროდი. მე თქვენი რედაქციისათვის ბოროტი უნდა ვიყო, რომ მაგ სიტყვებისათვის პასუხი მამეთხოვა, მაგრამ ისევ მე მოვითმინე. მე ანტონი არა ვარ, ქვეყანა შევყარო. მე ანტონს დიდს, ძალიან დიდს პატივსა ვსცემ, მაგრამ ეგ მეთაური მაგან შემძლვნა. არ იცით, რაშია საქმე მაგრე უშვერად მლანძლავთ. დღეს სამ წე-

რილსა ვწერ, ერთს დასაბეჭდათ, რომლის შინაარსი აღარც კი ვიცი, თუ არ არის, ასე აღელვებულმა დავწერე დღეს ხუთს საათზე. ექვს საათზე მეთაური წავიკითხე და სხვა დავწერე და გამოვგზავნე. ახლა კიდევ შენა გწერ. სხვამ თუ არ იცის ჩემი ხასიათი, ზნე, მიმართულება, შენ ხომ იცი! განა აგრე უნდა!? მე ავადაც მოგშორდებით და კარგადაც, მაგრამ თუ თქვენი რედაქცია მაგითი ფონს გავა, ძალიან კარგი, თავი შემიწირავს... შენ თვითონ დაფიქრდი, შენ იცი ჩემი და კერესელიძის ცოლის მეგობრობა, და-ძმობა, განა ვაკადრებდი მაგისთანა რამეს? რატომ რედაქცია არ დაფიქრდა, არ მოიცადა, რომ ჩემგან ნამდვილი შაეტყო. მაგრამ თუმცა მაღლა ჰყვირით, გულში კი რედაქციას კაცური კაცობა არა სწამებია. აქ რომ ასე გამოიდეთ თავი და ათასის ეპიტეტებით შემამკევით, რატომ იმას კი არ მიაქციეთ თქვენი ორმაგი ყურადღება, როცა მე მ ო ლ ა-ბ ა შ ი რ მ ა ამას წინად უწყალოდ შემამკო. ხელებს გაშლით იმაზე, მაგრამ საშინლად კი გამლანძღა. ამაზე იტყვიან: ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა არც კაკალიო.

„მე, გიგო, სიჩქარის გამო აღარ მახსოვს, რა დავწერე პირველს წერილში... ეს კი ვიცი, რომ ბევრი აბდა-უბდა კი უნდა იყოს. შენ განდობ მასა—თუ გინდა დაბეჭდე, თუ გინდა ნუ. თუ დაბეჭდო,—დამავიწყდა ჩამესვა ფელეტონის ნომერი,—ჩასვი,—92.

მე დღეს მითხრეს, ილია ჭავჭავაძემ ზემოდ გაიარაო. თუ მანდ იყოს, ჩემი წერილი „ივერიის“ რედაქციას წააკითხე.

„მე დღეიდამ ვსპობ რედაქციასთან ლიტერატურულს დამოკიდებულებას და იქნამდის უნამუსო არ ვარ,—თუმცა რედაქცია თავგამოდებით ამტკიცებს ამასა,—რომ „ივერიას“ ვავნო მატერიალურად. ჩემთან რჩება ფულის ანგარიში, დაარწმუნე ილია, რომ „უნამუსობას“ და „ქურდ-ბაცაცობას“ არ გავსწევ. ამ ანგარიშით რომ მეცხოვრა ქვეყანაზე, დღეს უნ-ხო აღარ ვიქნებოდი და ცოლშვილს ღვთის ანაბარობაზე არ გავუშვებდი. მაგრამ... მახლას!.. ჩვენს დროში გასაკვირველი არ არის—რა. „კარგი რომ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია‘‘, —რუსთველის ქირიმე,—ესღა შემრჩენია ნუგეშად ამ მწარე შემთხვევის ჟამსა... კიდევ გწერ, მე აღარ მახსოვს, რა დავწერე; ანტონი შემხვდა, შევედი კერესელიძესთან, ავიღე ქაღალდი, პირდაპირ დავროშე და იქვე დავტოვე, ასე რომ დღეს დილით იმათ გამოუგზავნით... ამ წერილს ზოგიერთს ადგილებს ნურავის განუმხელ, მაგ ანტონზე, თორემ მაგის გადაკიდებას ბისმარკის გადაკიდება სჯობიან... მართლა, თუ ჩემი გამოგზავნილი ახალი ამბები არ დაგიბეჭდიათ, ან კორესპონდენცია ქართლიდამ, ნულარ დაბეჭდავ“...

ასე გადაგვრია ანტონმა: მე სხვა მითხრა, რედაქციას სხვა, აქ მე გამახელა, იქ დარბაისელი ილია. ეს ამბავი გაიგო, რასაკვირველია, იმ ქალმაც— მარიამ კერესელიძისამ, რომელსაც ვითომდა შეეხებოდა პასქვილი. შეწუხდა ფრიად, შეწუხდა უფრო ჩემის გულისათვის, რადგან იცოდა, რომ მე იმას ცუდად, განზრახ და ღვარძლიანის აზრით არ შევეხებოდი. მომწერა ამიტომ შემდეგი წერილი:

,,ძვირფასო ძმაო სოფრონ! ჩვენ შორის ისეთი ტკბილი ძმობა და მეგობრობა იყო, რომ დიდათ სამწუხარო და სწორე გითხრა გულის მოსაკვლავია ჩემთვის რომ რაღაცა ღვარძლმა გაიარა მე და შენში... შენმა გაზდამ, ათასი წელიწადი რომ ვიცოცხლო შენს პატიოსნურ განვლენას, ჩემი თვალების ახელვასა და ქვეყნის გაცნობაზე არა დამავიწყებს რა, და შენი ნანდვილი და ტკბილი ძმობა ყოველთვის მალამსავით იქნება ჩემი ათასი ცილისა და უპატიურებით დაწყლულებულის გულისა. როცა მსმენია რამე ჩემზედ საზიზრება, ყოველთვის ნუგეშათ მქონია, რომ მყავს ძმა და მფარველი, საქვეყნოთ ცნობილი კაცი, რომელიც მე ყველაზე კარგად მიცნობს. დაიცავს ჩემს უმიზეზოთ და უსამართლოდ მოწამლულს სიცოცხლეს-მეთქი‘‘.

,,იმედი მაქვს, ძვირფასო ძმაო, ის უბრალო მიზეზები არ აღმოფხვრიან ჩვენში ჩვენს განსაკუთრების დაძმობას და უფროც ვეცდებით ჩვენს ერთობას და დაძმურს მეგობრობას‘‘.

ერთის სიტყვით ანტონისგან ბრუდედ გაგებულმა ამბავმა ცეცხლზე ნავთი დაგვისხა და ყველანი აგვაღელვა. რასაკვირველია, ილიასაც კი ახელებდა ეს სიბრუდე აზრისა, ილიას, რომელსაც მწერლობა დასახული ჰქონდა „მშვენიერების და ჭეშმარიტების ტაძრად“ და არა ჭორის ბუდედ და ღვარძლის სათესად საცდელ მინდვრად. ამ ანტონისგან გავრცელებულმა ჭორმა, ვითომ მე მიზანში მყვანდა ამოღებული საპატიო ადამიანი, ამაღელვა და გამალაშქრა ილიას წინააღმდეგ; აღელვა და ააშმაგა იმისთანა დინჯი კაცი, როგორიც იყო ილია. რაკი მან ჩემი ნაწერი მიიჩნია შეურაცხმყოფელად მშვენიერების და ჭეშმარიტების ტაძრისა, იმიტომ უძღვნა იმ ფელეტონს შემმუსვრელი მეთაური, მაგრამ როცა ჩემი წერილები წაიკითხა, მაშინ ჩაუფიქრდა საქმის გარემოებას, ასწონ-დასწონა იგი და თუმცა ილიას არ ეცალა კერძო წერილების საწერად, მაგრამ მაინც მომწერა ყოველ მხრივ შესანიშნავი წერილი. ამ წერილს შემდეგ ნომერში მოვიყვან.

[illegible],

(შემდეგი იქნება)

# წვრილი ამბები

სამშობლოში

**პროვინციაში მოგზაური დასი ვალ. გუნიას მეთაურობით** უკვე დაბრუნდა თბილისში ოთხშაბათს, 23 ივლისს. დასს ომის გამოცხადება მოსწრებია, როცა ისინი ტუაპსეში იყვნენ და ძლივს-ძლიეობით მოუსწრიათ უკან დაბრუნება უკანასკნელის გემის საშუალებით. დასს გაუმართავს წარმოდგენები (ზოგან ერთი ზოგან ორი) შემდეგ ადგილებში: ზესტაფონში, ქიათურაში, სამტრედიაში, ხონში, აბაშაში, ფოთში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ხიდისთავში, ჩოხატაურში, ზუგდიდში, ახალსენაკში, ოჩემჩირეში, სოხუმში, გაგრაში, სოჭაში და ტუაპსეში.

საზოგადოება ყველგან დიდის აღტაცებით დახვედრია დასს. განსაკუთრებული სიამოვნება და სიხარული გამოუწვევია დასს გურიაში და შავი ზღვის ნაპირებში.

დასი შესდგებოდა შემდეგ პირთაგან: ვ. გუნია (მეთაური), ვ. შალიკაშვილი (რეჟისორი), დ. მგალობლიშვილი, ი. ბარველი, დ. აბდუშელი, პ. ფრანგიშვილი, ი. მამფორია, ვ. ქავთარაძე (სუფლიორი) და ვ. ურუშაძე (მოწინავე); ქალები: ტასო აბაშიძე, მარო მდივანი და ნატ. ჯავახიშვილი.

რეპერტუარი: „ოჯახის გაუბედურება", „მუშის პატიოსნება", „კრისტინე", ვოდევილი „რაც არ მერგება არ შემერგება" და დივერტისმენტი.

დასის წევრნი ძლიერ კმაყოფილნი არიან მოგზაურობით და განსაკუთრებით ემადლიერებიან დაბა-სოფლების საზოგადოებათ.

დასს რომ ომის ქარბუქი არ მოსწრებოდა, ისინი აპირებდენ თურმე ასვლას ნოვოროსისკში და იქიდან რკინის გზით პეტროვსკაში, დარუბანდში, კავკავში, ყაზბეგში, დუშეთში, ცხინვალში, ქარელში და მერე კახეთსა და ქიზიყში მოათავებდენ თავიანთ გასტროლს.

**სასკოლო სიმღერებისა და სავარჯიშო ჰანგების კრებული**, მოკლე ნოტების სახელმძღვანელო, შეადგინა ვ. ს. თამარაშვილმა, ცნობილ მ. თამარაშვილის ძმის წულმა. სახელმძღვანელოში მოთავსებულია: 1) 15-დე ერთხმოვანი სიმღერა; 2) კანონები და სავარჯიშო ჰანგები; 3) საბავშვო სათამაშოები და ზღაპრები; 4) ორხმოვანი სიმღერები. შემდგენელს განუზრახავს ამ მოკლე ხანში ცალკე გამოსცეს.

**მსახიობქალი ნ. დავითაშვილი**, რომელიც სპარსეთში იყო, გასულ კვირას თბილისს დაბრუნდა.

**სალიტერატურო საღამოს გამართვა დაუშალეს ქიზიყში** მგოსანს ს. ფაშალიშვილის ადგილობრივმა გავლენიანმა პირებმა—როგორ თუ საქართველოს სიამაყე მგოსანი აკაკი ჩვენ ვერ მოვიპატიჟეთ და შენ კი იწვევო, შენ ამის ზნეობრივი ნებაც კი არა გქონდაო. ფრიად სამწუხაროა ეს ამბავი, მით უმეტეს, რომ ფაშალიშვილი თვითონ ქიზიყელია, ღარიბი გლეხის შვილი, თვით ნასწავლი და სწავლის სურვილით გატაცებულმა მოინდომა თავის სამშობლოში საღამოს გამართვით ორიოდე გროში აელო (რასაც დიდის სიხარულით დასთანხმდა ჩვენი მცხოვანი მგოსანი აკაკი) და იმავე დროს ქიზიყელებისათვისაც ეჩვენებინა შინაარსიანი საღამო აკაკის მონაწილეობით.

რუსთა შორის

**მამა ილიოდორე კაფე-შანტანში** აპირებს შესვლას, როგორც ერთმა მისმა მეგობარმა ივანოვმა განაცხადა. სამჯერ გამოსვლაში 500 მან. ავიღებო,—უთქვამს ბერად ნამყოფს,—რომელ კაფეშანტანშიაც უნდა იყოსო. რას იზავთ, ცხოვრება მინდა და ცხოვრებისათვის კი—ფულია საჭიროო.

— მერე ესტრადაზე რას იზავს მამა ილიოდორე? ჰკითხეს.

— სახალხოდ ლაპარაკი აკრძალული აქვს. ამიტომ იგი ჩაიცვამს თავის თეთრ მანტიას, გამოვა ესტრადაზე, ხალხს თავს დაუკრავს და ეტყვის:—„გამარჯობა რუსის ხალხო!" ხელ-ახლად თავს დაუკრავს და გაბრუნდება.

— ნუ თუ ილიოდორეს მართლა განუზრახავს ეგ საქმე?

— რა თქმა უნდა. უკვე რამდენიმე ცირკიდან მოითხოვეს—ტაგანროგისა, ხარკოვისა და სხ. მამა ილიოდორემ მთხოვა მის იმპრესარიოდ ვიყო: პირობები ძლიერ კარგია,—ფულს შუა გავიყოფთო.

**წყალში თავი დაიხრჩო** ერთ დროს გამოჩენილმა სკრიპკაზე დამკვრელმა კ. დუმჩევმა.

უცხოთა შორის

**დაიწვა იზადორა დუნკანის ვილლა**, სადაც ცეკვის სკოლა იყო მოთავსებული. ცეცხლმა შთანთქა ვილლას სამხატვრო მოწყობილება და დიდძალი ნოტები.

**სტამბოლში იხსნება კონსერვატორია**, რომლის მმართველად იწვევენ პარიზის „ოდეონის" თეატრის დირექტორად ნამყოფ ანტუანს. კონსერვატორიაში იქნება ოთხი განყოფილება: სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და სათეატრო. პირველად გაიხსნება სათეატრო განყოფილება, სადაც მიიღებიან არა მხოლოდ ახლად სწავლის დამწყებნი, არამედ ოსმალთა საუკეთესო მსახიობნიც. განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეული ექნება ოსმალურ საუცხოვო გამოთქმის (ენის) შემუშავებას.

**ელეონორა დუზემ გადასწყვიტა სცენას** თავი გაანებოს და სიცოცხლის დანაშთენნი დღენი მსახიობთა ყოფა-ცხოვრების მოწყობას შესწიროს. განუზრახავს იტალიის ყველა დიდ ქალაქში დააფუძნოს გაჭირვებულ მსახიობთა თავშესაფარი სახლები. ამ მიზნისთვის დუზემ გადასცა თავისი ვილლა რომისა და 10,000 ლირა (დაახლოვ. 2 მ., სულ—20,000 მ.) ვილლას მოსაწყობად. მისი თაოსნობით ასეთი სახლები შენდება ბევრ სხვა ქალაქშიაც.

**უძვირფასესი წიგნი—„მეფე ლირი-"ს** პირველი გამოცემა—ამ დღეებში შეიძინა ერთმა ინგლისელმა ორი ათას ხუთას თუმნად. წიგნი დაბეჭდილია 1605 წ. და იმ ხანად ოთხი აბაზი ღირდა.

**დ, არიალი მიიწვია გინსბურგმა** ამერიკაში და არა გინსბურგს, როგორც შეცდომით იყო წინა კვირის ნომერში.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**




(წ.—20)

ექ. ვახტანგ ღამბაშიძის

**სანატორიუმი**

**პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე**

**ქალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე**

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ღამბაშიძე**

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

# აღსასრული ადამიანის ტანჯვისა
## გონორეია (სუსუნატი)

4 წ. გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი **„რაპიდი“** გასასყიდად გამოვიდა სამკურნალო, საბჭოს ნებართვით **№ 1295**, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავადმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ **„რაპიდ“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილი იყოს, ამის თანა შემთხვევა არ არის;** ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა, ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩენად, **და „რაპიდ“-ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.**

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნატის (გონორეი) წინაალმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდათ ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ეჭვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამალსაც,—ამ შემთხვევაში მათს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რომ ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, იმის დასამტკიცებლად ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ **„რაპიდ-აის** ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი., რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანავე დავუბრუნებ.

**ნიმუში ჩემის ხელწერილისა:**

„მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამასა და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „რაპიდ“-ის ორი ფლაკონი, სუსუნატის წინაალმდეგ, თავდები ვარ, რომ 20 დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერა.)

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრ განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები მაქვს, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ. თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, **ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.**

წერილი 11. მ. ხ. ბ-ნო დელამაურე! დიდათ გმადლობთ თქვენი სასწაულ მომქმედ „რაპიდისთვის“. განვიკურნე. ვურჩევ ჩემს ნაცნობებს მოგმართონ თქვენ. პატივისცემით ვ. მ. გ. ქ. როვნო.

წერილი 12. მ. ხ. ბ. დელამურე! მთელი ათი წელიწადი ვიტანჯებოდი ამ საშინელ სენით. თქვენმა უებარმა საშუალებამ განმკურნა 26 დღეში. ამდენი ხნის ტანჯვის შემდეგ მე არ მწამდა თუ იქნებოდა ისეთი საშუალება, რომელიც შესძლებდა ჩემს განკურნვას. მაგრამ მოვტყუვდი, ყოფილა—ეს არის თქვენი რაპიდი. გიძღვნი გულწრფელ სალამს და დღეგრძელობას ტანჯული ხალხის საკეთილდღეოთ. პ. ლ. ტროიცი, 16 მარ. 1912 წ.

ფასდადებით და გაგზავნით 9 მ. ფასდადებით იგზავნება მხოლოდ 3. მან. გამოგზავნის შემდეგ.

გთხოვთ შეკვეთისა და ცნობებისათვის მიჰმართოთ:

**თბილისში ჩემს წარმომადგენელს კ. აკოპიანს, ლორის-მელიქოვის ქ, №16, 13,** სახელმწ. ბანკის პირდაპირ, დილის 11—2 ს. და საღ. 5—7 ს. აგრეთვე ისყიდება ძმ. ტერტეროვების აფთიაქში, ნეკრასოვისა და რაზიეზდის ქუჩ. კუთხეში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

პატივისცემით **მ. დელამურე.**

მოსკოვი. ნეგლინის მისახ. № 14—2 სას. 2.

# ახალი კლუბი
(საზაფხულო შენობა)

| | |
|---|---|
| დღეს — კვირას 27 ივლისს | **საბავშვო საღამო და სინემატოგრაფი** <br> დასაწყისი ნაშუადღევის 5 ს. — დასაწყისი საღ. 9 ს. |
| ორშაბათს 28 ივლისს | **კონცერტი** სიმფონიურ ორკესტრისა **ი. ს. პრესმანის** ხელმძღვანელობით. |
| სამშაბათს 29 ივლისს | **საოჯახო საღამო.** |
| ოთხშაბათს 30 ივლისს მეექვსე სიმფონიური კრება | **ი. პ ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით და მიხეილ ფიბერის მონაწილეობით (მეორე და უკანასკნელი გასტროლი). |
| ხუთშაბათს 31 ივლისს | **ქართული წარმოდგენა.** |
| პარასკევს 1 აგვისტოს | **სინემატოგრაფი ს. ო. ივანიცკისა.** |
| შაბათს 2 აგვისტოს | **კონცერტი** სიმფონიური ორკესტრისა **ი. პ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით. |
| კვირას 3 აგვისტოს | **საბავშვო საღამო; სინემატოგრაფი.** |

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში. ტელ. 11 — 79

| | |
|---|---|
| დღეს, კვირას 27 ივლისს | **სინემატოგრაფი, მუსიკა' ცეკვა.** |
| ორშაბათს 28 ივლისს | **სინემატოგრაფი.** |
| სამშაბათს 29 ივლისს | **სინემატოგრაფი, მუსიკა.** |
| ოთხშაბათს 30 ივლისს | **საზანდარი.** |
| ხუთშაბათს 31 ივლისს | **საბავშვო საღამო; სინემატოგრაფი; მუსიკა.** |
| პარასკევს 1 აგვისტოს | **საზანდარი; ცეკვა.** |
| შაბათს 2 აგვისტოს | **სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.** |
| კვირას 3 აგვისტოს | **სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.** |

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები — 25 კ., ქალები — 10 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილია. ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობათათვის.

კლუბში გაიმართება ხოლმე **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები** და აგრეთვე **სახალხო სეირნობანი.**

სტამბა „სორაპანი" · Типографія „Сорапань"